



ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი



## **ალტერნატიული ანგარიში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტს საქართველოს პირველ პერიოდულ ანგარიშთან მიმართებით**

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)

## Contents

შესავალი .....	3
მუხლი N12: თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება .....	4
1. კანონმდებლობაში არსებული გამოწვევები .....	4
2. რეფორმის იმპლემენტაციის პროცესი .....	6
საქმის წარმოების პროცესის პრობლემურობა სასამართლოში .....	6
3. სახელმწიფოს მხარდამჭერი სისტემის არარსებობის პრობლემა .....	7
მუხლი N24: განათლების უფლება .....	9
სტატისტიკის წარმოების პრობლემა შშმ პირთა განათლების უფლებასთან მიმართებით .....	9
ინკლუზიური განათლება .....	10
სკოლამდელი განათლება .....	10
ზოგადი განათლება .....	11
უმაღლესი განათლება .....	13
პროფესიული განათლება .....	13
მუხლი N27: შრომა და დასაქმება .....	14
მუხლი N28: სათანადო საცხოვრისის უფლება .....	18

## შესავალი

აღნიშნული ალტერნატიული ანგარიში აფასებს საქართველოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის შემდეგი მუხლების შესრულებას: მუხლი N12: **თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება**; მუხლი N24: **განათლების უფლება**; მუხლი N27: **შრომა და დასაქმება**; მუხლი N28: **სათანადო საცხოვრისის უფლება**.

ანგარიში მომზადებულია: ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის (EMC) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსთან ერთად და ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

**ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)** 2012 წლიდან აქტიურად მუშაობს როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე. ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის სოციალური უფლებების დაცვა, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობას. კერძოდ, EMC მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზზე, საკანონმდებლო დონეზე მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ანალიტიკური დოკუმენტების, კვლევების და ა. შ. მომზადებაზე, პოლიტიკის ადვოკატირებაზე სხვადასხვა უწყებებთან, სტრატეგიული სამართალწარმოების გზით უფლებების დაცვაზე საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში, მათ შორის ქვეყანაში არსებული ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების გამოყენებით.

EMC- მა მოამზადა დოკუმენტი გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) იმპლემენტაციის შესახებ, რომელიც მოიცავდა რეკომენდაციებს შესაბამისი უწყებებისათვის, მათ შორის, კანონმდებლობის შეცვლისა და ძირითადი პოლიტიკის მიმართულების ცვლილების თაობაზე. ვებ გვერდი: [www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge).

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)** არის ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1994 წელს. საიას აქვს მთავარი ოფისი თბილისში და 8 ოფისი საქართველოს რეგიონებში. საია მუშაობს სამოქალაქო და პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სოციალური უფლებების მიმართულებით უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევის, კვლევის, სტრატეგიული სამართალწარმოებისა და ადამიანის უფლებათა განათლების მეშვეობით. საია ასევე მუშაობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალეულების თემებზე და ადვოკატირებს საკანონმდებლო და ადამიანის უფლებათა პოლიტიკის ცვლილებებს სახელმწიფო უწყებებთან. საია ახორციელებს საერთაშორისო ადვოკატირებას და რეგულარულად წარადგენს ალტერნატიულ ანგარიშებს გაეროს ადამიანის უფლებათა სახელმწიფო ორგანოებში და გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში. ვებ-გვერდი: [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

**ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“** ღია საზოგადოების ფონდების წევრი ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში 1994 წელს დაფუძნდა. ღია საზოგადოების ფონდების დამფუძნებელია ფინანსისტი და ფილანტროპი ჯორჯ სოროსი. ფონდის მისია ღია საზოგადოების განვითარება და ადამიანის უფლებების დაცვაა. ეს მისი საქმიანობის ყველა სფეროში აისახება.

1994 წლიდან დღემდე ფონდს საქართველოში დახარჯული აქვს 85 000 მილიონ აშშ დოლარ-ზე მეტი.

ბოლო წლებში ფონდის საქმიანობა შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა;
- ევროინტეგრაცია;
- დამოუკიდებელი და თავისუფალი მედიის განვითარება;
- თვითმმართველობის რეფორმა;
- ღია მმართველობა;
- არჩევნები;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობა ;
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობა და ეროვნული ინტეგრაცია-

## მუხლი N12: თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლება

2014 წელს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირებით, საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კონვენციით გარანტირებული უფლებების აღიარების, განხორციელებისა და დაცვის ვალდებულება აიღო. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ რატიფიცირების პროცესში საქართველოს პარლამენტმა კონვენციის მხოლოდ მე-12 მუხლზე გააკეთა დეკლარაცია მისი სრულყოფილად განხორციელების შეუძლებლობის თაობაზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან მისი სრულ იმპლემენტაციაზე არასაკმარის მზაობას აჩვენებდა.<sup>i</sup> მოგვიანებით, 2015 წელს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქვეყანამ გაატარა ქმედუნარიანობის მოდელის არსებითი საკანონმდებლო რეფორმა, რამდენადაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და გაუქმდა ქვეყანაში იმ დროს არსებული ქმედუნარიანობის მოდელის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო ნორმები.<sup>ii</sup>

ახალი, რეფორმირებული მოდელი არსებითად დაეფუძნა კონვენციის ხედვას, რომელიც თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლების რეალიზებას უკავშირებს პირის ინდივიდუალური შეფასების პროცესს, პირის მონაწილეობის უზრუნველყოფით და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. რეფორმის შედეგად, გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელით შეიცვალა მეურვის მხრიდან ნების სრულად ჩანაცვლების მანამდე არსებული მოდელი. თუმცა მიუხედავად ამისა, ეროვნული კანონმდებლობა სრულ თანხვედრაში არ არის კონვენციის მე-12 მუხლთან, ამასთან, მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება ქმედუნარიანობის ახალი სისტემის სათანადო იმპლემენტაციის საკითხი, რაც რეფორმის რეალურ აღსრულებადობას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს.

### 1. კანონმდებლობაში არსებული გამოწვევები

#### მატერიალური კანონმდებლობა

რეფორმის განხორციელების შემდგომ, მოქმედი კანონმდებლობა მეტწილად ითვალისწინებს ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და რამდენიმე გამონაკლისის გარდა შეესაბამება კონვენციის სტანდარტს.

კერძოდ, სხვადასხვა სფეროში მოქმედი კანონმდებლობა (შრომის უფლება და დასაქმება საჯარო სამსახურში,<sup>iii</sup> პოლიტიკურ პროცესებში - პლებისციტსა და რეფერენდუმში მონაწილეობა,

ჯანმრთელობის უფლება<sup>iv)</sup> მხარდაჭერის მიმღები ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის სტატუსზე დაფუძნებულ, ინდივიდუალური შეფასების გარეშე უფლების შეზღუდვის კანონისმიერ საფუძვლებს ქმნის.<sup>v</sup> ასევე, მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო ბლანკეტურად, სტატუსზე დაყრდნობით კრძალავს მხარდაჭერის მიმღები პირისათვის ბავშვის მინდობით აღზრდის შესაძლებლობას.<sup>vi</sup> ახალი მოდელით შემოთავაზებული ქორწინების სამართლებრივი მოწესრიგება იმეორებს ბლანკეტურ მიდგომას მხარდაჭერის სტატუსის მქონე პირებისათვის და სასამართლოს შესაბამისი მითითების არარსებობის პირობებშიც კი ავალდებულებს მხარეებს საქორწინო კონტრაქტის შედგენას,<sup>vii</sup> რითაც ეწინააღმდეგება კონვენციის მიდგომას.<sup>viii</sup>

## პროცესუალური კანონმდებლობა

ნორმატიულ დონეზე, მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც ცხადად არ ადგენს შეჯიბრებითი პროცესის გარანტიას მხარდაჭერის მიმღები პირისათვის, არ განსაზღვრავს მის სტატუსს, არ ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღებისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმის უფლებასა და პროცედურას, არ განსაზღვრავს ექსპერტიზის დასკვნის გასაჩივრების უფლებას და ადგენს იმულებით ფსიქიატრიულ ექსპერტიზას.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ნების არარსებობის შემთხვევაში ტოვებს შესაძლებლობას, რომ მხარდაჭერის მიმღები პირის სრულყოფილი მონაწილეობისა და მისი ინტერესების სრულფასოვანი წარმოდგენის გარეშე გაიმართოს სასამართლო პროცესი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე. კანონმდებლობა ერთმანეთისგან არ მიჯნავს საპროცესო წარმოებას მხარდაჭერად საცნობი პირის ნებისა და მისი არარსებობის პირობებში, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვისაა. კერძოდ, მხარდაჭერაზე პირის ნების არარსებობის შემთხვევაში, პროცესის დამდგენი კანონმდებლობა შეუძლებელს ხდის დავისას შეჯიბრებითი პროცესის წარმართვას და ამგვარი გარემოს შექმნას.<sup>ix</sup> აღნიშნული კი, გამორიცხავს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობას სასამართლო პროცესში.

ბუნდოვანია და კანონით არ არის დარეგულირებული პროცესის მონაწილე პირების, მათ შორის, მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სტატუსი. მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სასამართლო პროცესის „მხარედ“ აღიარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონაწილე პირებისათვის საპროცესო უფლებების - მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევის, საპროცესო მოქმედებების გასაჩივრებისა და სხვა საპროცესო უფლებების სრულყოფილი რეალიზებისათვის, რამდენადაც არსებული კანონმდებლობა უშვებს ამგვარი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას.<sup>x</sup> ხშირ შემთხვევაში, სამართალწარმოების პროცესში მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსის ბუნდოვანება პრაქტიკაში მხარდაჭერის მიმღებად ცნობილ პირს უზღუდავს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.<sup>xi</sup>

გარდა ამისა, კანონმდებლობა არ იცნობს არასასურველი მხარდაჭერისაგან თავის არიდების საკანონმდებლო გარანტიასა თუ საფუძველს, იმ შემთხვევაში თუ პირს საერთოდ არ სურს მხარდაჭერის დანიშვნა, ამის ერთადერთი გზა პირის ექსპერტიზაზე გამოუცხადებლობაა.<sup>xii</sup>

აღნიშნული რეგულაცია არ არის ორიენტირებული მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირის ნამდვილი ნების, თავისუფალი და გაცნობიერებული არჩევანის პრინციპის დაცვაზე და წინააღმდეგობაში მოდის მასთან. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას<sup>xiii</sup> და ნათლად არ ითვალისწინებს იძულებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხს.<sup>xiv</sup>

## 2. რეფორმის იმპლემენტაციის პროცესი

რეფორმის იმპლემენტაციის პროცესმა აჩვენა, რომ სახელმწიფო პრაქტიკულად მოუმზადებელი შეხვდა რეფორმის დანერგვის პროცესში მოსალოდნელ საჭიროებებსა და გამოწვევებს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოში არსებული პროცესების წარმართვა და სწორი გამოცდილების დაგროვება, რაც რეფორმის რეალური იმპლემენტაციის საფუძველი უნდა გახდეს. თუმცა, სრულიად განსხვავებულ სურათს აჩვენებს სასამართლოში განვითარებული პრაქტიკა, რომელიც მთავარ პრობლემად კანონმდებლობის არასწორ განმარტებას წარმოაჩენს, რაც პირის ნების ჩამორთმევასა და მის ჩანაცვლებაში გამოიხატება, კანონმდებლის მიერ დადგენილი ნების საწინააღმდეგოდ. სასამართლო პრაქტიკის კვლევა აჩვენებს, რომ რეფორმის ინტერპრეტაცია სასამართლო სისტემის მიერ იმთავითვე ეწინააღმდეგება მის არსს.<sup>xv</sup> ამას გარდა, პრობლემურია სახელმწიფოს მხრიდან რეფორმის აღსრულების საკითხი, რამდენადაც კანონის ცვლილებას არ მოჰყოლია მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა და დანერგვა, რომელიც პრაქტიკულ დონეზე შექმნიდა მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის აღდგენილი უფლებების განხორციელების გარანტიას.

### საქმის წარმოების პროცესის პრობლემურობა სასამართლოში

რეფორმის სწორად დანერგვაში განსაკუთრებული როლის მატარებელი სასამართლოა, რომელსაც მხარდაჭერის სტატუსის მქონე პირის შეფასების საფუძველზე მხარდასაჭერი სფეროსა და ფარგლების დადგენა, მხარდამჭერი პირის განსაზღვრა და მხარდაჭერასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გამორკვევა ევალება. სასამართლოში საქმისწარმოების სწორ პროცესზე არსებითადაა დამოკიდებული რეფორმის აღსრულების საკითხი. ამის მიუხედავად სასამართლო სისტემა ვერ ახერხებს მის სწორ იმპლემენტაციას, რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში მხარდაჭერის მიმღები პირისათვის მისი ინდივიდუალური შეფასების გარეშე, შაბლონურად ხდება უფლებების დაუსაბუთებლად ფართო სპექტრის შეზღუდვა და ზოგიერთ შემთხვევაში მათი ჩამორთმევა, რაც მხარდაჭერის მიმღები პირის ნების ჩანაცვლებას მოიაზრებს.

საქმის განხილვის პროცესში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ფსიქო-სოციალურ ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, რომელ სფეროებში ესაჭიროება პირს მხარდამჭერი, თუმცა ჩამოყალიბებული პრაქტიკით, ექსპერტიზა უმეტეს შემთხვევაში იღებს დასკვნას პირისათვის „სრული მხარდაჭერის“ დანიშვნის თაობაზე ყველა სფეროში, რაც არ მოიცავს მხარდაჭერის დანიშვნის საჭიროების შეფასებას და დასაბუთებას თითოეულ უფლებასთან მიმართებით დამოუკიდებლად,<sup>xvi</sup> და გამორიცხავს მხარდაჭერის მიმღები პირების შეფასებისას ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას, რაც რეფორმის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება და არასწორ პრაქტიკას ამკვიდრებს.



მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტის ახალი მოდელი საკანონმდებლო დონეზე გამოიციხავს ნების ჩანაცვლებით მოდელს (გარდა ერთადერთი გამონაკლისისა)<sup>xvii</sup>, სასამართლო გადაწყვეტილებების უმრავლესობა სწორედ ამ მოდელს აბრუნებს პრაქტიკაში.<sup>xviii</sup> 2015 წლის აპრილიდან 2016 წლის თებერვლამდე საერთო სასამართლოების სისტემის ყველა სასამართლოს მიერ მიღებული 341 გადაწყვეტილების ანალიზი აჩვენებს, რომ პრაქტიკაში კვლავ აქტუალურია ქმედუნარიანობის ძველი, პლენარული მეურვეობის მოდელი და სასამართლოს გადაწყვეტილებების უმეტესობა სწორედ ნების ჩანაცვლების უფლებამოსილებას ანიჭებს მხარდამჭერებს.<sup>xix</sup> კერძოდ, იმის მიუხედავად, რომ კანონმდებლობა მხარდაჭერის მიმღები პირის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს (გარდა, უკიდურესი გამონაკლისისა), სასამართლოები უმეტესად ინდივიდუალური შეფასების გარეშე ადგენენ ზოგიერთი უფლების აბსოლუტურ ჩამორთმევას და მხარდაჭერის მიმღები პირების ნების სრულ ჩანაცვლებას ყველა სფეროში,<sup>xx</sup> რაც რეფორმის უკიდურესად მცდარი მიმართულებით იმპლემენტაციაზე მიუთითებს.

ამას გარდა, სასამართლოს გადაწყვეტილებების უმეტესი ნაწილი დაუსაბუთებელია.<sup>xxi</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებები როგორც წესი, არ მოიცავს მხარდაჭერის მიმღები პირის კონკრეტულ უფლებებში ჩარევის დასაბუთებას და მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის არსებობით შემოიფარგლება, რომელიც მხარდაჭერის მიმღები და მხარდამჭერი პირებისათვის თითოეული უფლების განხორციელების წესს ადგენს. გარდა ამისა, გადაწყვეტილებათა სარეზოლუციო ნაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ არ არსებობს მათი ფორმულირების ერთიანი სტანდარტი, რაც გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტიანი მონიტორინგის პროცესს მნიშვნელოვნად აბრკოლებს, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში მხარდამჭერთათვის გაუგებარია როგორ უნდა აღასრულონ გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>xxii</sup>

ასევე პრობლემურია, რომ სასამართლოსადმი მიმართვისათვის არ არსებობს დადგენილი სახელმძღვანელო ფორმა-დოკუმენტი, რომელიც განმცხადებელს მოთხოვნის ნათლად ფორმულირების შესაძლებლობას მისცემდა. შედეგად, სასამართლოს წინაშე დაყენებული მოთხოვნები ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია და მხარდაჭერის მიმღების ინტერესების დარღვევას უქმნის საფრთხეს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით პრობლემურია, რამდენადაც განცხადებაში შესაფასებელი სფეროების ზუსტი იდენტიფიცირების არარსებობის გამო, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოები თავად ადგენენ დავის საგნის ფარგლებს, აფართოებენ მოთხოვნას და მხარდაჭერის საჭიროებას პირის ყველა უფლებასთან მიმართებით განიხილავენ.<sup>xxiii</sup>

### 3. სახელმწიფოს მხარდამჭერი სისტემის არარსებობის პრობლემა

სახელმწიფოსათვის მხარდაჭერის რეფორმის მთავარ გამოწვევას მისი აღსრულების ეტაპი წარმოადგენს, რაც სრულ წინააღმდეგობაშია იმ პროგრესულ ნორმატიულ სტანდარტებთან რასაც ეროვნული კანონმდებლობა ადგენს. სამწუხაროდ, საკანონმდებლო რეფორმას არ მოჰყოლია შესაბამისი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული, ფინანსური თუ ადამიანური რესურსების ზრდა და გაძლიერება, რაც ტრანსფორმაციული რეფორმის აღსრულებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხია და რაც დღეს რეფორმის სათანადო იმპლემენტაციის შეუძლებლობის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს.<sup>xxiv</sup> შესაბამისად, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს სათანადო რესურსისა და ინსტიტუციური მზაობის არარსებობის პირობებში, პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობს რეფორმის აღსრულება, რაც სოციალური მუშაკებისათვის მხარდაჭერის ფუნქციების შეთავსების სირთულეში, ქმედუუნაროდ აღიარებული პირების თავდაპირველი

შეფასების მცირე პროგრესში, სათანადო რესურსების არარსებობასა და მხარდაჭერის რეალური სერვისის არარსებობაში გამოიხატება.

უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომ საკანონმდებლო პროცესის პარალელურად არ მომხდარა მხარდაჭერითი სისტემის შექმნა. რეფორმის დანერგვის პროცესში, სახელმწიფოს არ შეუქმნია მხარდაჭერის სისტემა, რომელიც იქნებოდა მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებების რეალიზების გარანტი. მხარდაჭერის სისტემის შექმნის ნაცვლად, სახელმწიფომ მისი აღსრულება მხოლოდ არსებული ლიმიტირებული რესურსის ფარგლებში გადაწყვიტა და მხარდამჭერის ფუნქციების შეთავსება სოციალურ მუშაკებს დაავალა, რომელთაც, მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის მხარდაჭერის გაწევის გარდა ოცზე მეტი მიმართულებით უწევთ მუშაობა და მათ ვალდებულებაში შედის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ბავშვთა მიმართ ძალადობა, ოჯახების გაძლიერება, მზრუნველობა და სხვა.<sup>xxv</sup> ამასთან, ქვეყნის მასშტაბით სოციალური მომსახურების სააგენტოში მოქმედი სოციალური მუშაკების რაოდენობა უკიდურესად მცირეა, განსაკუთრებით რეგიონების მასშტაბით, რაც სოციალური მუშაობის ერთერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, რეფორმის აღსრულების ამგვარი გადაწყვეტა სოციალური მუშაკების საერთო რაოდენობისა და დაკისრებული ფუნქციების მასშტაბების გათვალისწინებით, არ შეიძლება მივიჩნიოთ ეფექტურ გადაწყვეტად.<sup>xxvi</sup> გარდა ამისა, ზედამხედველობის განხორციელების პროცესში თავს იჩენს ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა, რამდენადაც სოციალური მომსახურების სააგენტოს თავად უწევს ორივე ფუნქციის - მხარდაჭერის გაწევისა (როდესაც მხარდამჭერი სახელმწიფოა) და მისი კონტროლის ფუნქციების შეთავსება.<sup>xxvii</sup>

პრობლემაურია, სახელმწიფოს მიერ გარდამავალ პერიოდში ქმედუუნაროდ აღიარებული პირების ინდივიდუალური შეფასებს პროცესი, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოს წინასწარი გეგმისა და მხარდაჭერითი სისტემის შექმნის გარეშე, არასათანადო პროგრესით მიმდინარეობს.<sup>xxviii</sup> რეფორმის განხორციელებიდან 2017 წლის ოქტომბრამდე ქვეყანაში მხარდაჭერის მიმღებად ცნობილია 2187 პირი, ხოლო მათ შორის წარსულში ქმედუუნაროდ აღიარებული იყო 854 პირი.<sup>xxix</sup> რეფორმის ამოქმედებამდე 4370 ქმედუუნაროდ აღიარებული პირიდან,<sup>xxx</sup> 2017 წლის მაისამდე პერიოდში მხოლოდ 854 მათგანის ხელახალი შეფასება მოხდა<sup>xxxi</sup> ამ სტატისტიკის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქმედუუნაროდ აღიარებული პირების მესამედიც კი არ არის შეფასებული.

არსებული მოცემულობის ფარგლებში, ნათელია, რომ სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევა არ არის საკმარისი რეფორმის სრულყოფილად განხორციელებისათვის. სახელმწიფოს რეფორმის სწორად დანერგვისათვის უნდა მიმართოს შესაბამისი ფინანსური, ადმინისტრაციული და ტექნიკური რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს მის ხარისხიან განხორციელებას. ამასთან, არსებული პროგრესი აჩვენებს, რომ სისტემა ვერ უზრუნველყოფს რეფორმის ნორმალური ტემპებით განხორციელებას, რაც განაპირობებს ასეულობით პირის ქმედუუნარობის მდგომარეობის შენარჩუნებას.

#### *რეკომენდაციები:*

- ეროვნულმა საპროცესო კანონმდებლობამ ნათლად განსაზღვროს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმისწარმოების პროცედურა იმგვარად, რაც გაითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის სრულ მონაწილეობას პროცესში.
- ეროვნულმა კანონმდებლობამ გაითვალისწინოს პირის მხრიდან მხარდაჭერის მიღებასა და ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის უფლება; ასევე, მხარდაჭერის მიმღები პირის უფლება



იმულებითი ექსპერტიზის დანიშვნისა და საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;

- ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილებები, რომელიც მხარდაჭერის მიმღები პირის შრომის, ქორწინების, საარჩევნო, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების, ჯამრთელობის უფლებისა და სამოქალაქო გარიგებებში მონაწილეობის უფლებების შეზღუდვას არ დაუქვემდებარებს პირის სტატუსს, უფლებაში ჩარევა განხორციელდება მხოლოდ პირის ინდივიდუალურ შეფასების საფუძველზე და მხარდაჭერის გზით.
- დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსამართლეთა, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრთა და მხარდამჭერთა/მომავალ მხარდამჭერთა მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებები, შემუშავდეს და გავრცელდეს სახელმძღვანელოები მხარდაჭერის სისტემის სათანადო იმპლემენტაციისათვის;
- შეიქმნას და დაინერგოს მხარდაჭერის სერვისი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ყველა მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირს და მათ მხარდამჭერებს მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, რაც იქნება მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებების რეალიზების გარანტი;
- შეიქმნას მხარდაჭერის განხორციელებაზე (განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მხარდაჭერაზე) მონიტორინგის გამართული მექანიზმი და მხარდაჭერაზე პასუხისმეგებელი იმგვარი სისტემა, რაც დააზღვევს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხეს;
- რეფორმის სათანადო დანერგვის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს რეფორმის სათანადო აღსრულებისათვის საჭიროებების შეფასება და კვლევითი მონაცემის გათვალისწინებით შესაბამისი ფინანსური, ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების გამოყოფა;
- სახელმწიფოს მხრიდან დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტენსიური საინფორმაციო კამპანია ქმედუუნაროდ აღიარებული პირების, მეურვეების, მხარდამჭერების, ფსიქიატრიული და სპეციალიზებული დაწესებულებებისათვის.

## მუხლი N24: განათლების უფლება

### სტატისტიკის წარმოების პრობლემა შშმ პირთა განათლების უფლებასთან მიმართებით

არ არსებობს შშმ პირთა სტატისტიკა, რომლებიც განათლებას იღებენ დაწყებით, უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებში, ან საჭიროებენ ამგვარ განათლებას. ამის მიზეზია სახელმწიფოში შშმ პირთა აკურატული სტატისტიკის წარმოების მექანიზმის არარსებობა. დღესდღეობით შშმ პირთა სტატისტიკის წარმოება ხდება თვითიდეტიფიკაციის მეშვეობით შშმ პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვის ფარგლებში; ან სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ იმ შშმ პირთა აღრიცხვის მეშვეობით, რომლებიც იღებენ სოციალურ

პაკეტს ან სხვა სახის გასაცემელს, ან არიან აღრიცხული სამუშაოს მაძიებლად. აღნიშნული მეთოდები ვერ უზრუნველყოფს შშმ პირთა რეალური რაოდენობის განსაზღვრას, ვინაიდან აღრიცხვა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ პირის სურვილზე მიიღოს სოციალური პაკეტი, ან მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვის ფარგლებში მოახდინოს თვითიდენტიფიკაცია. შესაბამისად, რთულია იმის შეფასება, თუ რა მასშტაბებს აღწევს შშმ პირთა განათლების უფლების დარღვევა.

## ინკლუზიური განათლება

შშმ პირები მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან განათლების უფლების რეალიზებასთან მიმართებით როგორც სკოლამდელი განათლების, ისე ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურზე. აღნიშნულის მიზეზია ინკლუზიური განათლების პროგრამის არასათანადო დანერგვა და ხელმისაწვდომობის ბარიერები, არაადაპტირებული ფიზიკური გარემო, გადამზადებულ პედაგოგთა სიმცირე და კვალიფიკაციის ნაკლებობა, ასევე არაადაპტირებული სასწავლო მასალა. ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა სკოლამდელ განათლებასთან მიმართებით.

## სკოლამდელი განათლება

ინკლუზიური სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის კუთხით, ზოგად და პროფესიულ განათლებასთან შედარებით, გაცილებით მეტი გამოწვევები არსებობს. სახელმწიფოს არ აქვს სკოლამდელ განათლებაში ჩართულ შშმ ბავშვთა მონაცემების საერთო ბაზა, სადაც იდენტიფიცირებული იქნებოდა ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებები, მათ შორის ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის საჭიროება.

სკოლამდელი განათლების მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებაა და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები მუნიციპალიტეტების მიერ დამოუკიდებლად წყდება.<sup>xxxii</sup> „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ 2016 წლის საქართველოს კანონმა<sup>xxxiii</sup> მოაწესრიგა საქართველოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის საკითხი.<sup>xxxiv</sup> კანონი ითვალისწინებს ბავშვთა ინკლუზიურ განათლებას მიუხედავად ბავშვის „ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა.“<sup>xxxv</sup> მიუხედავად კანონის არსებობისა, რომელიც სკოლამდელი განათლების ერთიან სტანდარტს აწესებს, მისი მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი 2018-2020 წლებში ამოქმედდება და დღესდღეობით მათი იმპლემენტაცია არ ხდება.

სახალხო დამცველის მიერ 2016 წელს შესწავლილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ ასევე პრობლემაა „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ ძალაში მყოფი მუხლების იმპლემენტაცია და ადრეული აღზრდისა და განათლების შესაძლებლობა კვალავ არ არის სრულად ხელმისაწვდომი შშმ ბავშვებისთვის.<sup>xxxvi</sup> მაგ. 2017 წლის მდგომარეობით, მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტის (თბილისის, ზუგდიდისა და მარნეულის) ბიუჯეტი ითვალისწინებდა ინკლუზიური სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.<sup>xxxvii</sup> ამასთანავე, არ არის კონკრეტულად გაწერილი, თუ რა სახის ღონისძიებების გატარებას იღებს თავზე მუნიციპალიტეტი ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით და არ არის განსაზღვრული გაზომვადი ინდიკატორები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წელს შეიმუშავა სკოლამდელი განათლების პროგრამა, რომელიც ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შექმნილ

ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებს.<sup>xxxviii</sup> ამის მიუხედავად, პროგრამა არის არა სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო ხასიათის და იგი არ იძლევა შშმ ბავშვის სწავლისა და განვითარების გეგმის მოდიფიცირების შესაძლებლობას ბავშვის მიმართ ინდივიდუალიზებული მიდგომის გათვალისწინებით.

გარდა საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე არსებული ბარიერებისა, ხშირ შემთხვევაში ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში ჩართვა ატარებს ფორმალურ ხასიათს და არ ხდება ბავშვის მონაწილეობა საგანმანათლებლო თუ სხვა აქტივობებში. ბავშვთა საჭიროებების შეფასება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, თუმცა იგი არ არის დაკომპლექტებული სათანადო პროფესიონალებით (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მეთოდისტი, სპეციალური პედაგოგი) და შეფასება რეგულარულად არ ხორციელდება. სახალხო დამცველის თანახმად, ხშირია შშმ აღსაზრდელების მიმართ ძალადობის შემთხვევები, რომელთა პრევენციის ზომები და შემდგომი რეაგირება ხარვეზიანია.<sup>xxxix</sup>

სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ბარიერების ერთ-ერთი მიზეზია აღმზრდელთა არასათანადო რაოდენობა და პროფესიული უნარ-ჩვევებისა და სპეციფიური ცოდნის სიმცირე. საბავშვო ბაღების ასოციაციები თავად იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა სახის ტრენინგების ჩატარება მოხდეს აღმზრდელთათვის და ისინი მნიშვნელოვან ყურადღებას არ უთმობენ შშმ ბავშვთა საკითხებს.<sup>xl</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის დონეზე მოხდეს ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხიანად წარმართვის ერთიანი მიდგომის შემუშავება და მისი ეფექტური მონიტორინგი.

## ზოგადი განათლება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსმ) ბავშვები განსაკუთრებულ ბარიერებს აწყდებიან ინკლუზიური ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. პრობლემა ამასთანვე განათლების ხარისხისა და უწყვეტობის უზრუნველყოფა.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებას - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.<sup>xli</sup> კანონის თანახმად, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ინკლუზიური განათლების დანერგვაა,<sup>xlii</sup> რასაც სახელმწიფო გაზრდილი ვაუჩერის ოდენობითა და დამატებითი დაფინანსებით უნდა უზრუნველყოფდეს.<sup>xliii</sup> განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით ახორციელებს პირის შეფასებას და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევას.<sup>xliv</sup> კანონის თანახმად, განათლების სამინისტრომ ასევე უნდა შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი.<sup>xlv</sup> ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილებაა შექმნას პირობები ინკლუზიური სწავლებისთვის.<sup>xlvi</sup> განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (2016) დამტკიცებულია „ინკლუზიური განათლების მონიტორინგის“ პროგრამა, რომელიც არ არის დანერგილი ზოგადი და უმაღლესი განათლების დონეზე.

მიუხედავად ინკლუზიური განათლების კანონით რეგულირებისა, საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილი და ხარვეზიანია: ინკლუზიური სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილება და არა ვალდებულებაა. კანონი არ არეგულირებს ინტეგრირებული კლასებისა და სპეციალური პედაგოგების საკითხებს (ასევე, პედაგოგთა უფლება-მოვალეობებს), რაც ძირეულია ინკლუზიური სწავლების განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ კანონი განსაზღვრავს განათლების საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას,<sup>xlvii</sup> იგი არ განიხილავს ფიზიკური ხელმისაწვდომობის საკითხს შშმ პირებისთვის.

ინკლუზიურ განათლებას უზრუნველყოფს თბილისში არსებული სკოლებიდან დაახლოებით ნახევარი (თბილისის 297 სკოლიდან 155 სკოლა). ინკლუზიური განათლება განსაკუთრებით პრობლემურია მაღალმთიან სოფლებში - 505 სკოლიდან მხოლოდ 171 სკოლაში ხორციელდება ინკლუზიური სწავლება.<sup>xlviii</sup>

მიუხედავად ქვეყანაში არსებული ინკლუზიური განათლების მოდელისა, სპეციალიზებული სკოლები (სმენის და მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებისთვის) დაშვებულია ზოგადი განათლების შესახებ კანონით<sup>xlix</sup> და ასეთი სკოლები კვლავ აგრძელებენ მოქმედებას. სპეციალური პროფილის, პანსიონური 8 სკოლა მოქმედებს საქართველოს რამდენიმე რეგიონში, რომლებიც ემსახურება შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის, ასევე სმენისა და მეტყველების არმქონე ბავშვებს. თუმცა, მათზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის შეზღუდულია ტერიტორიული დაშორებისა და არასათანადო ტრანსპორტის გამო.<sup>1</sup>

World Vision-ის 2014 წლის კვლევამ ცხადყო, რომ შშმ ბავშვები, სხვა ბავშვებთან შედარებით, მნიშვნელოვან დაბრკოლებებს აწყდებიან სასწავლო პროცესში ჩართულობის კუთხით სხვადასხვა ფიზიკური და სოციალური ბარიერების გამო. შშმ სტატუსის არმქონე ბავშვთა 98% დადის სკოლაში, ხოლო სტატუსის მქონე ბავშვებში ეს ციფრი მხოლოდ 73%-ია. კვლევამ სახლში განათლების მიღების მხოლოდ 4 შემთხვევა გამოკვეთა.<sup>ii</sup> შესაბამისად შშმ ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი ზოგადი სავალდებულო განათლების მიღმა რჩება. საქართველოში საჯარო სკოლათა მხოლოდ ერთ მესამედზე ნაკლებს (777 სკოლა) აქვს პანდუსი ან მარტივი ადაპტაცია.<sup>iii</sup> შესაბამისად, საჯარო სკოლების ნაწილი ითვალისწინებს მობილობის პრობლემების მქონე ბავშვების გარკვეულ საჭიროებებს და არ არის მორგებული სხვა სახის შეზღუდვებზე. მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლის სტატუსის მისანიჭებლად, საჭიროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა<sup>iiii</sup>, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც ბავშვი ავტომატურად გამოირიცხება ინკლუზიური განათლებით გათვალისწინებული მომსახურებისგან.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სათანადო ხარისხსა და უწყვეტობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა უდიდესი ნაწილი ინკლუზიურ განათლებაში ფორმალურად არის ჩართული - ვერ იღებს ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებულ სწავლებას და ვერ იძენს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც გაზრდის მისი დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას. აღნიშნულს განაპირობებს არაადაპტირებული/არასაკმარისად ადაპტირებული გარემო, შესაბამისი კომპეტენციის მქონე არასაკმარისი პედაგოგები, ბავშვის უნარების არასრულყოფილი შეფასება, შესაბამისი შეფასების შედეგად ინდივიდუალური დამხმარების გამოყოფის არარსებობა, ბავშვის ქცევის მართვის სირთულეები და მშობლებისთვის არასაკმარისი მხარდაჭერა.<sup>liv</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ პედაგოგს ცენტრალური როლი ეკისრება ინკლუზიურ განათლებაში,<sup>lv</sup> მისი სტატუსი კვლავ არ არის გათანაბრებული მასწავლებლის სტატუსთან, მისი საქმიანობა და სწავლების ხარისხის კონტროლი კანონმდებლობით არ რეგულირდება, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, უარყოფითად აისახება ინკლუზიური განათლების ხარისხზე.

## უმაღლესი განათლება

შშმ პირთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით ბოლო წლებში გადადგმული გარკვეული ნაბიჯების მიუხედავად, უმაღლეს სასწავლებელთა ფიზიკური გარემო, სასწავლო პროცესი და საგანმანათლებლო რესურსები უმეტესწილად არის არაადაპტირებული, არახელმისაწვდომი და არასათანადო ხარისხის შშმ სტუდენტებისთვის. ამასთანავე, არ არსებობს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც შშმ პირთათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესს გააკონტროლებს<sup>lvi</sup>.

ადაპტირებული არ არის საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები) ვებ-გვერდები. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის ადაპტაცია მოხდა შშმ პირებისთვის, ეროვნული გამოცდებისთვის სარეგისტრაციო ელექტრონული სისტემა კვლავ არ არის ადაპტირებული.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერის ეფექტური ინსტიტუციონალური მექანიზმის არარსებობა განაპირობებს დღესდღეობით უმაღლეს განათლებაში ჩართულ სტუდენტთა დაბალ მაჩვენებელს.<sup>lvii</sup>

## პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი (2007)<sup>lviii</sup> არ ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებას და შშმ პირთა საჭიროებებს განათლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. იმის მიუხედავად, რომ კანონი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, იგი სხვა საფუძვლებთან ერთად (რომლებიც უშუალოდ არ ეხება შშმ პირებს) დაცულ საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ „ფიზიკურ შესაძლებლობებს“ გამოყოფს და დისკრიმინაციის აკრძალვის დებულება არ ვრცელდება სხვა სახის შეზღუდვებზე.<sup>lix</sup>

დღესდღეობით, ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა პროფესიულ კოლეჯში არსებობს პანდუსი. ამის მიუხედავად, კვლავ პრობლემაა შენობის სრული ადაპტირება სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, სველი წერტილებისა და სახელოსნოების ჩათვლით. პრობლემურია ასევე შენობის შიგნით გადაადგილება და სასწავლო მასალების ადაპტირება. დღესდღეობით სასწავლებელთა უმეტესობა საერთოდ არ ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის მოთხოვნებს. უნივერსალური დიზაინის პრინციპის დაცვით 21 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლიდან მხოლოდ 5 სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ადაპტაცია დაიწყო.<sup>lx</sup> ამასთანავე, არ ხდება ყველა მოთხოვნილი პროგრამის მიწოდება შშმ სტუდენტებისთვის, რადგან ამ მიმართულებით პედაგოგები ვერ აკმაყოფილებენ კვალიფიკაციის მოთხოვნებს და საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციაც პრობლემურია.<sup>lxi</sup>



- სახელმწიფომ შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების დეკლარირებული პოლიტიკა, კონვენციის პრინციპებზე დაყრდნობით ასახოს იგი პოლიტიკის დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში და გამოყოს ადეკვატური რესურსები მისი იმპლემენტაციისთვის;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა დონეზე მოხდეს შშმ პირთა საჭიროებების კვლევა და შემუშავდეს ჩაშლილი მონაცემების ბაზა, რომლის საფუძველზეც მოხდება შშმ პირთა რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარება;
- მოხდეს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრესის გაზომვა;
- ყველა მუნიციპალიტეტში განისაზღვროს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მიღებისათვის საჭირო პროცედურები, მოხდეს მათი ეფექტური დანერგვა და სათანადო მონიტორინგის სისტემის უზრუნველყოფა;
- კონკრეტული სამოქმედო გეგმის მეშვეობით, ეტაპობრივად განხორციელდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპზე დაყრდნობით საჯარო სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ყველა დონეზე მოხდეს საგანმანათლებლო მასალების ადაპტირება სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინებით;
- სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამხმარე სპეციალისტის შტატი;
- სკოლებში ინტეგრირებული კლასის არსებობის შემთხვევაში განისაზღვროს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაზე მომუშავე კონკრეტული ადამიანი;
- მოხდეს სპეციალური მასწავლებლის ჩასმა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და სპეციალური მასწავლებელი საკანონმდებლო ცვლილების მეშვეობით გაუთანაბრდეს მასწავლებლის კატეგორიას;
- სპეციალიზებული სასკოლო განათლება განხილულ იქნეს როგორც უკიდურესი და დროებითი შესაძლებლობა შშმ ბავშვთა განათლებისთვის და ეტაპობრივად მოხდეს სპეციალური, პანსიონური პროფილის სკოლების გაუქმება;
- მოხდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ერთიანი ეროვნული გამოცდების სარეგისტრაციო ელექტრონული სისტემის, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდების ადაპტირება.

## მუხლი N27: შრომა და დასაქმება

შრომის უფლების რეალიზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განსაკუთრებულ დაბრკოლებებსა და გამოწვევებს უკავშირდება. სახელმწიფოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ამ მიმართებით განსაკუთრებით პრობლემურია. კონვენციის რატიფიცირების შემდგომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფომ ვერ შეძლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლების რეალიზებისათვის ეფექტიანი პოლიტიკის შექმნა და გატარება, რაც აღმოფხვრიდა ან შეამცირებდა მაინც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის არსებულ ბარიერებს და გზას გაუხსნიდა მათ დასაქმების ბაზარზე, სხვებთან თანაბარ პირობებში. შედეგად, მოქმედი კანონმდებლობა და დასაქმების პოლიტიკა ვერ პასუხობს კონვენციის

სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა თავისუფლად და დამოუკიდებლად უნდა შეძლონ ჩართვა შრომით ურთიერთობებში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა ძირითადად დეკლარაციულია და ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზების მიზანს.<sup>lxii</sup> სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ჩანაწერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების თაობაზე, არ არის ქმედითი და არ მოიცავს მისი აღსრულების მექანიზმებს.<sup>lxiii</sup> ამასთან, კონვენციის რატიფიცირების შემდგომ ქვეყანაში არსებითად არ შეცვლილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მდგომარეობა. ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პოლიტიკის დანერგვის კუთხით მინიმალურია და ვერ აღწევს მათი რეალური დასაქმების მიზანს.<sup>lxiv</sup>

კანონმდებლობა სათანადოდ არ ითვალისწინებს დამსაქმებლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობ და წამახალისებელ საშეღავათო მექანიზმებს. მცირე გამოწვევების გარდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობის მიზნით არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო თუ სხვა სახის მექანიზმები, კვოტირების და სხვა წამახალისებელი სისტემების სახით, საჯარო თუ კერძო სექტორში.<sup>lxv</sup> მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ მინიმალურ საგადასახადო საშეღავათო რეგულაციებს ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ კონკრეტული კატეგორიების მიმართ, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ნაწილს ათავისუფლებს საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან,<sup>lxvi</sup> თუმცა, ეს უკანასკნელი არ შეიძლება შეფასდეს საკმარის ღონისძიებად მისი შეზღუდული შინაარსისა და ვიწრო სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით. ამასთან, მინიმალურია აღნიშნული შეღავათით მოსარგებლეთა რაოდენობა.<sup>lxvii</sup>

გარდა იმისა, რომ კანონმდებლობა მინიმალურად მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების წახალისებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს, ზოგიერთ შემთხვევაში იგი უფლების შემზღუდავია. მოქმედი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვა) და ზომიერად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში სოციალური პაკეტის მიღებას უკრძალავს, განსხვავებით კერძო სექტორში დასაქმებული იმავე შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისგან.<sup>lxviii</sup> აღნიშნულ რეგულაციასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელიც დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნულ მექანიზმს წარმოადგენს, დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა და რეკომენდაციით მიმართა სახელმწიფო უწყებებს, რომ შეცვალონ სოციალური პაკეტის გაცემის მარეგულირებელი აღნიშნული ნორმები.<sup>lxix</sup>

ამას გარდა, მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ კონვენციის რატიფიცირების შემდგომ არსებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში არ მოხდა „გონივრული მისადაგების“ ცნების ასახვა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესაძლებლობას მისცემდა ეროვნული მექანიზმები უფრო ეფექტურად გამოეყენებინათ საკუთარი შრომის უფლების რეალიზების პროცესში და მათ შორის გონივრული მისადაგების პრინციპზე დაყრდნობით მოეთხოვათ შრომითი გარემოს ადაპტირება.

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ინკლუზიური პროცესის საფუძველზე შეემუშავებინა და საკანონმდებლო ორგანოში

წარედგინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კანონის პროექტი, რომელიც გაითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობ ღონისძიებებს,<sup>lxx</sup> თუმცა კანონპროექტის შემუშავება და მისი ინიცირება საკანონმდებლო ორგანოში ამ დრომდე არ მომხდარა. პასუხისმგებელი უწყების ცნობით, სამუშაო ჯგუფი შექმნილია, თუმცა ჯერჯერობით პროგრესი პროცესის მიმდინარეობაზე არ არსებობს.<sup>lxxi</sup>

2016 წლის ივლისიდან ქვეყანაში ამოქმედებულია ორი - „დასაქმების ხელშემწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა“<sup>lxxii</sup> და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“.<sup>lxxiii</sup> ორივე პროგრამა ზოგადი შინაარსისაა და მხოლოდ მათი ნაწილი მიემართება სპეციფიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი პროგრამების ფუნქციონირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობა თავისთავად მისასალმებელია, თუმცა აღნიშნული პროგრამები მხოლოდ მინიმალურად ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობ ღონისძიებებს, ისინი ლიმიტირებულია და არ ეფუძნება პირთა საჭიროებათა კვლევით მონაცემებს.

სახელმწიფო მოწყვლადი, დაბალკონკურენტული ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობის ორ - მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებისა (დანართი N1.5.1) და სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების (დანართი N1.5.2) კომპონენტებს ითვალისწინებს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამას გააჩნია მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტთა ჯგუფის ფორმირების კომპონენტი, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობისთვის დასაქმების მხარდაჭერათა მომზადებას. პროგრამა და მისი მიზანი თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა პრობლემურია მისი მასშტაბი, რამდენადაც მის ფარგლებში მხოლოდ 11 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი გადამზადდა.<sup>lxxiv</sup> პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერი სპეციალისტების (Job Coaches) შერჩევა 2015 წლის დეკემბერში დაიწყო.<sup>lxxv</sup> 2016 წლის მანძილზე მხარდაჭერითი დასაქმების სერვისით 58 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დასაქმდა.<sup>lxxvi</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მოქმედებს სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების პროგრამა, თუმცა პრობლემურია, რომ მისი დაფარვის არეალი მხოლოდ კერძო სექტორით შემოიფარგლება, მოკლევადიანი და ლიმიტირებულია. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო მხოლოდ 50%-იანი სუბსიდიით შედის დამსაქმებელთან და მხოლოდ 4 თვიანი კონტრაქტის პირობებში.<sup>lxxvii</sup> ამას გარდა, პროგრამა არ იძლევა მისი გახანგრძლივების შესაძლებლობას და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გრძელვადიან დასაქმებას.<sup>lxxviii</sup>

ამას გარდა, დაბალია დასაქმების პორტალის საშუალებით დასაქმებულთა მაჩვენებელიც: ელექტრონული პორტალი - [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge) ქვეყანაში 2013 წლიდან მოქმედებს, თუმცა, 2016-2017 წლების მანძილზე რეგისტრირებული 2465 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირიდან, მხოლოდ 114 მათგანი დასაქმდა დროებითი შრომითი კონტრაქტების საფუძველზე.<sup>lxxix</sup> დაბალია დასაქმების მაჩვენებელიც წინა წლების მანძილზეც, კერძოდ, 2014 წელს დასაქმდა 12 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 2015 წელს - 9 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 2016 წელს 11

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.<sup>lxxx</sup> გარდა იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაში უმეტესად მხოლოდ დროებითი დასაქმება ხდება, სახელმწიფოს არ აქვს დასაქმების პროცესის მდგრადობისა და დასაქმების მდგომარეობის შენარჩუნების/განგრძობადობის სისტემური ხედვა.

დაბალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისათვის ხელშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელიც. მაგალითისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მიზნით ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებში განსაკუთრებით დაბალია რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობისა და დასაქმების მაჩვენებელი.<sup>lxxxi</sup>

სახელმწიფოს არ გააჩნია დასაქმების მსურველი და დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთიანი სრულყოფილი ბაზა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამუშაოს მაძიებელთა და დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ბაზის ფორმირება ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი განცხადების საფუძველზე.<sup>lxxxii</sup> შესაბამისად, მონაცემი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისას, არ არის არსებული საჭიროებების კვლევას დაფუძნებული. დასაქმების მაძიებელთა ხილვადობის დაბალი მაჩვენებლის გამო, სახელმწიფოს არ აქვს სრული სურათი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების თაობაზე, მათ შორის განათლებისა და შემდგომი პროფესიული მომზადება-გადამზადების მიზნით დასაგეგმი ღონისძიებების განსაზღვრისათვის.<sup>lxxxiii</sup>

კერძოდ, პოზიტიური ღონისძიების განხორციელებებისას სახელმწიფო ეყრდნობა მოქმედ დასაქმების პორტალის მონაცემებს (worknet.gov.ge), რომელზე რეგისტრაციაც მხოლოდ თვითიდენტიფიცირების გზით არის შესაძლებელი, შესაბამისად, პორტალზე დაცული ინფორმაცია ვერ აჩვენებს სრულ სურათს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების, ასევე, ამ სფეროში არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების თაობაზე.

გარდა ამისა, სახელმწიფოს არ გააჩნია კერძო სექტორში დასაქმებული, ასევე თვითდასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის თაობაზე ზუსტი სტატისტიკური მონაცემი.<sup>lxxxiv</sup> დაბალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი საჯარო სექტორში, კერძოდ, საჯარო რექტორში დასაქმებული 53 103 პირიდან მხოლოდ 112 არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.<sup>lxxxv</sup>

მნიშვნელოვნად სუსტია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პოლიტიკა, რომელიც უმნიშვნელოვანესი გარანტი იქნებოდა მათი დასაქმების მიზნის რეალიზების კუთხით. ქვეყანაში ფუნქციონირებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც სხვებთან თანასწორად განათლების მიღების უფლება აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, თუმცა, უდიდეს დაბრკოლებას პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის ადაპტირების პრობლემა წარმოადგენს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოხსნილია ფიზიკური მისაწვდომობის პრობლემა, არსებით პრობლემებს სასწავლო გარემოს არაადაპტირებულობა წარმოშობს.<sup>lxxxvi</sup>

ასევე, ქვეყანაში მოქმედებს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც ჩართვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვებთან თანასწორად შეუძლიათ. თუმცა, პროგრამის გეოგრაფიული

დაფარვის არეალი მხოლოდ დედაქალაქითა და 12 მუნიციპალური ერთეულით შემოიფარგლება.<sup>lxxxvii</sup> ამას გარდა დაბალია მასში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის მასშტაბი. 2017 წლის მდგომარეობით, პროგრამაში 28 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია ჩართული ქვეყნის მასშტაბით.<sup>lxxxviii</sup>

### რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ შრომისა და დასაქმების მარეგულირებელ კანონმდებლობაში მკაფიოდ იქნას ასახული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით კონვენციასთან თანხვედრი სტანდარტები, მათ შორის „გონივრული მისადაგების“ სტანდარტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების აღსრულების ვალდებულება მათი შემდგომი დასაქმებისა და დასაქმების ადგილებზე სამუშაო გარემოს ადაპტირების კუთხით;
- კანონმდებლობამ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების წამახალისებელი პოზიტიური მექანიზმები, მათ შორის ადეკვატური და გრძელვადიანი სახელფასო სუბსიდირება, სამუშაო გარემოს ადაპტირების პროგრამების ფინანსური ხელშეწყობა, დამსაქმებელთა საგადასახადო შეღავათებით წახალისება და სხვა რელევანტური ღონისძიებები;
- ეროვნულმა კანონმდებლობამ გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სავალდებულო დასაქმების მექანიზმი ე.წ. კვოტირების სისტემა, უპირველესად საჯარო სექტორში.
- საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან მოიხსნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ბლანკეტური და სტატუსზე დაფუძნებული შეზღუდვა; ასევე, საჯარო სამსახურში დასაქმებისას, სოციალური პაკეტის შეზღუდვის თაობაზე დისკრიმინაციული რეგულირება;
- სახელმწიფოს შრომისა და დასაქმების ხელშემწყობი პოლიტიკა, მათ შორის მოქმედი სახელმწიფო პროგრამები დაეფუძნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკას, კვლევით მონაცემებს და არსებული საჭიროებების ანალიზს. გაიზარდოს მათი მოქმედების მასშტაბი და უზრუნველყოფილი იყოს მიღწეული შედეგების მდგრადობა;
- შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობი გრძელვადიანი პროგრამები, რომელიც გაითვალისწინებს ბენეფიციარების მომზადებისა და პერიოდული გადამზადების, ასევე სამუშაო პროცესში მხარდაჭერის კომპონენტებს;
- სახელმწიფომ შექმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მწყობრი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიულ განათლებასა და მათ მდგრად დასაქმებას.

### მუხლი N28: სათანადო საცხოვრისის უფლება

სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფს დეკლარირებული პოლიტიკა სახელმწიფოს არ გააჩნია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფას შშმ პირების რეაბილიტაციის



ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად და მათი სურვილის გათვალისწინებით (მუხლი N27.1). თუ სარეაბილიტაციო ღონისძიების შედეგად საჭირო აღარ არის შშმ პირთა პანსიონატში ან სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში ყოფნა, კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები მათ უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართობით, მათ შორის, ობოლ ან მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ამ კატეგორიის ბავშვებს – სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ (მუხლი N27.2).

მიუხედავად ზემოხსენებული რეგულირებისა, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სათანადო საცხოვრისის უფლებასა და არ ითვალისწინებს უფლების საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ელემენტებს, მათ შორის უფლების თანდათანობითი რეალიზების ვალდებულებას და მის მინიმალურ სტანდარტს. პრაქტიკაში სახელმწიფო უარს ეუბნება შშმ პირებს საცხოვრებლის უფლების რეალიზებაზე მატერიალური და ფინანსური რესურსების არარსებობის გამო და უფლება სასამართლოს წესით არ არის აღსრულებადი.<sup>lxxxix</sup>

იმის მიუხედავად, რომ სათანადო საცხოვრისის უფლების განხორციელება, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მოცულია 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით,<sup>xc</sup> უფლების განხორციელებას შშმ პირებისთვის არ ითვალისწინებს სტრატეგიის საფუძველზე შექმნილი სამოქმედო გეგმები. ადამიანის უფლებათა 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს მხოლოდ მსჯავრდებულთა და დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფისთვის გასატარებელ ღონისძიებებს და შშმ პირების ინტერესების გათვალისწინება მხოლოდ დევნილთა შემთხვევაში მოიაზრება<sup>xc1</sup>.

ქვეყანაში არ არსებობს ჩაშლილი მონაცემები შშმ პირთა სათანადო საცხოვრისის საჭიროების და უსახლკარო შშმ პირთა რაოდენობის თაობაზე. ამასთანავე, არ არსებობს შშმ პირებისთვის სათანადო საცხოვრისის შეფასების სტანდარტი და კრიტერიუმები.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ბავშთა ფონდის მხარდაჭერით დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი 18 წელს მიუღწეველი პირებისთვის დაწყებულია, ქვეყნის მასშტაბით კვლავ ფუნქციონირებს 2 დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულება 0-დან 7 წლამდე და 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვებისთვის. 18 წელს მიღწეული შშმ პირებიც კვლავ ცხოვრებენ ინსტიტუციებში (არსებობს 3 დიდი ზომის პანსიონატი) და სახელმწიფოს არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები დიდი ზომის ინსტიტუციების გაუქმებისა და სრული დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასაწყებად. სახელმწიფო სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის გზას პირის ინსტიტუციონალიზაციაში ხედავს და შეთავაზებული სოციალური დაცვის მექანიზმები უგულვებელყოფს დამოუკიდებელი საცხოვრისის საჭიროებას, რაც შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების რეალიზებისთვის განუყოფელია.

ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის თანახმად, ფსქოსოციალურმა საჭიროებამ შესაძლოა უსახლკარო პირთა გრძელვადიან სტაციონარულ მომსახურების გამწევ სახელმწიფო სერვისებში განუსაზღვრელი ვადით ცხოვრება განაპირობოს. ამ ჯგუფისთვის სახელმწიფო არ უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრის სერვისს, რაც მათ მისცემდა დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას ინსტიტუციის გარეთ.<sup>xcii</sup> სხვა შემთხვევებში ეს პირები ხვდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებში, ან ემუქრებათ უსახლკარობის საფრთხე. უსახლკარობის გამო შშმ პირებს ხშირად განუსაზღვრელი ვადით უწყვეტ ზრუნვით დაწესებულებებში ცხოვრება, რაც სახელმწიფოს მათი სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზებად მიაჩნია.<sup>xciii</sup>

მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე 18 წლის ასაკს მიღწეული შშმ პირების მდგომარეობა, რომლებიც სარეგლობდნენ სახელმწიფოს ზრუნვის სერვისებით და სრულწლოვნების მიღწევის შედეგად აღნიშნული სერვისები დატოვეს. სოციალური დაცვის მექანიზმები, რომლებსაც სახელმწიფო სთავაზობს ამ პირებს, არ ითვალისწინებს მათი დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების რეალიზებას.<sup>xiv</sup> რიგ შემთხვევებში ამ პირებს უწევთ 18 წლამდე ასაკის პირთა ინსტიტუციაში ცხოვრების გაგრძელება სრულწლოვნების ასაკს მიღწევის შემდეგაც, რადგან სახელმწიფო მათ საცხოვრებლით არ უზრუნველყოფს.

ის შშმ პირები, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვით დაწესებულებებში არ ცხოვრობენ, არაპროცესულად ექვემდებარებიან სათანადო საცხოვრებლის უფლების დარღვევას სხვა პირებთან შედარებით. ვინაიდან სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლის უფლების და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების რეალიზებას, შშმ პირთა საცხოვრებელი და ცხოვრების პირობები მთლიანად დამოკიდებულია მათი ოჯახის წევრებისა და ნათესავების კეთილ ნებაზე. შშმ პირებს ხშირად უწევთ ცხოვრება მათ საჭიროებებთან შეუსაბამო და ძალადობრივ გარემოში.<sup>xv</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის თანახმად, ყველა შემოწმებულ დაწესებულებაში პრობლემაა სათანადო ინფრასტრუქტურა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. პანსიონატებში ბენეფიციართა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს სტანდარტით დადგენილ მაქსიმუმს, რაც ვერ უზრუნველყოფს ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნას. არცერთი დაწესებულების ინფრასტრუქტურა არ პასუხობს მისაწვდომობის მოთხოვნებს. პანსიონატების ფიზიკური გარემოს მოწყობისას არ მომხდარა უნივერსალური დიზაინის მოთხოვნების გათვალისწინება, რის გამოც არსებობს შშმ პირთათვის სპეციალური დიზაინის გამოყენების – ადაპტირების საჭიროება. სრულად არის უგულვებელყოფილი მხედველობისა და სმენის არმქონე პირთა საჭიროებები. სახალხო დამცველი მნიშვნელოვან პრობლემებს აფიქსირებს დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის მხრივაც.<sup>xvi</sup>

“კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის” მიერ დოკუმენტირებული პრაქტიკით, რიგ შემთხვევებში შშმ პირები, უმეტესწილად ქალები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ხდებიან, რის გამოც უწევთ საცხოვრებლის დატოვება და თავიანთი ახლობლების თუ მეზობლების დახმარებით ცარიელი შენობების დაკავება, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს შშმ პირისთვის სათანადო საცხოვრისის მოთხოვნებს.<sup>xvii</sup>

### *რეკომენდაციები:*

- კანონმდებლობით განისაზღვროს სათანადო საცხოვრისის უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფილი იქნას მისი სასამართლოს წესით აღსრულების შესაძლებლობა;
- სახელმწიფომ შეიმუშაოს დეკლარირებული და გაზომვადი პოლიტიკა და სამოქმედო დოკუმენტები სათანადო საცხოვრისის უფლების უზრუნველსაყოფად, მათ შორის შშმ პირებისთვის, და ამ მიზნით გამოყოს სათანადო რესურსები;
- სახელმწიფომ შეიმუშაოს შშმ პირებისთვის სათანადო საცხოვრისის სტანდარტები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით;
- სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ყველა დონეზე დეინსტიტუციონალიზაციის ეფექტური პროცესის უზრუნველსაყოფად, მათ შორის შშმ პირთა სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზების მიზნით;

- მოხდეს მოსამართლეთა და ადვოკატთა გადამზადება შშმ პირთა უფლებების და სათანადო საცხოვრისის საკითხებზე, უფლების დარღვევაზე მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

<sup>i</sup> საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით რატიფიცირების შესახებ. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2164946>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>ii</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოვლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2549051>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>iii</sup> „ახალი რეგულაციის თანახმად, მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საჯარო სამსახურში დასაქმების ხელისშემშლელ გარემოებას და მეორე მხრივ, საჯარო მოხელეების, მათ შორის, ცალკეული პოლიტიკური თანამდებობის პირების, საქმიანობის შეწყვეტის უპირობო და სავალდებულო საფუძველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ აღნიშნული საკითხი განსხვავებულად მოაწესრიგა...ქმედუნარიანობის მოქმედი მოდელი, შრომის უფლების რეალიზების ნაწილში, უარს ამბობს იმ ზოგად მიდგომაზე, რომლის მიხედვითაც, პირს მხარდაჭერა მხოლოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებში დგინდება და ინდივიდუალური შეფასების გარეშე, აღნიშნული სტატუსი არ შეიძლება ავტომატურად გავრცელდეს სხვა სფეროებზე. კერძოდ, კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირის დასაქმებას ან საქმიანობის გაგრძელებას ბლანკეტურად მიემართება და მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსს ამგვარი ურთიერთობის შეწყვეტისათვის საკმარის სამართლებრივ საფუძველად მიიჩნევს, იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს არ უმსჯელია შრომის უფლების რეალიზების სფეროში მხარდაჭერის საჭიროებაზე და პირი მხარდაჭერის მიმღებად სხვა სფეროებში მიიჩნია“, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 24-25. ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016

<sup>iv</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3.ა.ა.გ) ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>v</sup> „იმ პირთა მიმართ, რომლებიც გადიან მკურნალობას სტაციონალურ დაწესებულებებში, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული ჩანაწერები საარჩევნო უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, წინააღმდეგობაში მოდის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ხედვასთან და უკიდურესად რეგრესულია, მისი ბლანკეტური და დისკრიმინაციული ბუნებიდან გამომდინარე“. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 24-25. ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>vi</sup> საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, მუხლი 7.1.ა, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1529579>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>vii</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1120.1.ე, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>, ბოლოს ნანახია 10.09.2017

viii „მხარდაჭერის მიმღები პირის ქორწინების უფლების სტანდარტი ქორწინების განსხვავებული რეგულაციის დადგენით არათუ ვერ აღწევს მის მიზანს, დაიცვას მხარდაჭერის მიმღები პირი, არამედ ეჭვქვეშ აყენებს მისი ინტერესების სათანადო დაცვის შესაძლებლობას. მოქმედი მოწესრიგება პრობლემურია ასევე ბლანკეტური შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც ქორწინების უფლების რეალიზებისას, გამორიცხავს პირის ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვრასა და მხარდაჭერის ადეკვატური ფარგლების დადგენას“ , ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 31, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

ix „მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება რომ, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმის წარმოებაშ შესაძლოა შინაარსობრივად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული შინაარსის წარმოების სახე მიიღოს. ერთი მხრივ, შესაძლოა სახეზე იყოს პირის გაცნობიერებული ნებისა და თანხმობის პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერის მიღების მიზნით განცხადებით დაწყებული წარმოება, რომელიც თავის თავში არ მოიცავს დავის ელემენტებს. ხოლო მეორე მხრივ, კანონით განსაზღვრული მესამე პირების მხრიდან ინიცირებული წარმოება, რომლის საჭიროებასა და მხარდაჭერის ფარგლებს შესაძლოა არ ეთანხმებოდეს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირი, რაც დავის წარმოშობის საფუძველია. ამგვარი წინააღმდეგობის შემთხვევაში, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წარმოების სამოქალაქო დავაში გადაზრდის შესაძლებლობას, განსხვავებით უდავო წარმოების წესებისგან, რომელიც დავის წარმოშობის შემთხვევაში, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, განუხილველად დატოვოს განცხადება და საქმეში მონაწილე დაინტერესებულ პირებს განუმარტოს საერთო სასარჩელო წესით საქმისწარმოების დაწყების აუცილებლობის თაობაზე“ , ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 39, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

x ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 39, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

xi „პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით შემოიფარგლება მხოლოდ განმცხადებლის წერილობითი თანხმობის არსებობისას. შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის პროცესში სრულად არის გამორიცხული მხარდაჭერის მიმღები პირი, რამდენადაც მის წერილობით თანხმობას სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს“ , ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 45-46, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის N2/161-2015 გადაწყვეტილება; სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის N2/183-2015 გადაწყვეტილება; სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის N2/2014-2015 გადაწყვეტილება და სხვა.

xii ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 39, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

xiii საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363<sup>20</sup>, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962#!> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

xiv საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XLIV<sup>11</sup>, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962#!> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

xv ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ.43, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

xvi „მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრის ეტაპზე ჩამოყალიბებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პირის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით მისი ფსიქოსოციალური მდგომარეობის შეფასებას და მასთან კავშირში მხარდაჭერის სფეროების, ხარისხის, ინტენსივობისა და მხარდაჭერის ფორმების გამოვლენას“ , ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების



სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ.45, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>xvii</sup> გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293.4 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისისა, როდესაც მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღები პირის ნების ჩანაცვლება შესაძლებელია მხოლოდ გარიგების დადებისათვის სასამართლოს ნებართვით, თუ პირის მხრიდან ნების გამოხატვა შეუძლებელია 1 თვის განმავლობაში და გარიგების დადებაზე უარი ზიანს მიაყენებს მხარდაჭერის მიმღებ პირს

<sup>xviii</sup> „სასამართლოები, მიუხედავად ნების ჩანაცვლების შესაძლებლობის გაუქმებისა, კვლავ ამ პრაქტიკას მიმართავენ, რაც საბოლოოდ მხარდაჭერის სისტემის ამოქმედების საკითხს სრულად აყენებს ეჭვქვეშ. დღეის მდგომარეობით, სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მხარდაჭერის მექანიზმის ამუშავებას, ხოლო ცალკეულ მოსამართლეთა მცდელობა დაწერონ მხარდაჭერის ინსტიტუტი, უმეტეს შემთხვევაში, აცდენილია მის მთავარ პრინციპს, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების თაობაზე“, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ.49, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>xix</sup> „ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2016 წელი, გვ. 29, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3948.pdf>, ბოლოს ნანახია: 27.09.2017

<sup>xx</sup> ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ.46-48, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>xxi</sup> „ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2016 წელი, გვ. 12-13, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3948.pdf>, ბოლოს ნანახია: 27.09.2017

<sup>xxii</sup> ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ.48, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>xxiii</sup> „კვლევის ფარგლებში დამუშავებული საქმისწარმოების მასალებიდან ჩანს, რომ სასამართლოსადმი მიმართვისას, მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრის ეტაპზე წარდგენილი განცხადებების უმეტესობა ბუნდოვანია, გარკვევით არ შემოფარგლავს შესაფასებელ სფეროებს და არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, პროცესის დანარჩენი ეტაპების პირის რეალურ ინტერესებთან შეუსაბამოდ წარმართვის წინაპირობა გახდეს. განცხადებებიდან ჩანს, რომ განმცხადებლის მოტივი უმეტესად პირის ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება ან განკარგვაა, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში, პენსიითა და სოციალური პაკეტით სარგებლობით, ან სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრის ინტერესით არის განპირობებული. ამასთან, სასამართლოსათვის მიმართვის მოტივი თავისთავად არ მოიცავს პირის ინდივიდუალური შეფასების ინტერესს, რაც ტოვებს თავისუფალ სივრცეს, რომ პირისათვის მხარდაჭერის საჭიროება დადგინდეს ყველა სფეროში, რასაც ადასტურებს კიდევ ამ დრომდე არსებული პრაქტიკა“, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ.43-44, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>xxiv</sup> ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 50, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>xxv</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 9 მარტის N04/14006 კორესპონდენცია, დანართი N1

<sup>xxvi</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 9 მარტის N04/14006 კორესპონდენცია

<sup>xxvii</sup> ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ. 51, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017



<sup>xxviii</sup> „სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 10 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში ქმედუუნაროდ აღიარებულია 3 462 პირი. 2016 წლის 13 აპრილის მდგომარეობით, სულ 322 პირი იქნა ცნობილი მხარდაჭერის მიმღებად. ამათგან, მხოლოდ 32 მათგანი წარმოადგენს წარსულში ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს. დასახელებული სტატისტიკის ფარგლებში, მხოლოდ 6 შემთხვევაში იყო მიმართვის ინიციატორი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ხოლო 316 საქმის შემთხვევაში, ინიციატორს ფიზიკური პირები წარმოადგენდნენ. ამ დროისათვის, სააგენტოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე 40 საქმეა ინიცირებული.“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 22 დეკემბრის N04/98775 კორესპონდენცია; შეხვედრა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებთან, 31.03.2016 ქმედუუნარიანობის სისტემის რეფორმის და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016 წელი, გვ.53, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2016/06/07/emc-82/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>xxix</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 28 სექტემბრის N04/61140 კორესპონდენცია

<sup>xxx</sup> „ქმედუუნაროდ აღიარებული პირებიდან 700 მათგანი გარდაცვლილია“. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 1 მაისის N04/27358 კორესპონდენცია

<sup>xxxi</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 28 სექტემბრის N04/61140 კორესპონდენცია

<sup>xxxii</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი N16.2.ი

<sup>xxxiii</sup> იხ. კანონი ბმულზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3310237>

<sup>xxxiv</sup> ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ 2016 წლის საქართველოს კანონი, მუხლი N1

<sup>xxxv</sup> ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ კანონი, მუხლი N23.

<sup>xxxvi</sup> სახალხო დამცველის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისადმი წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში, ივნისი, 2017 წ., გვ. 23.

<sup>xxxvii</sup> იხ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის N80 დადგენილება „ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

<sup>xxxviii</sup> სკოლამდელი განათლების პროგრამა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იხ.: <http://elibrary.emis.ge/ge/books/details/144>

<sup>xxxix</sup> ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2014, გვ. 27-29, იხ. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3286.pdf>

<sup>xl</sup> World Vision, საქართველოსთვის ჩატარებული საბაზისო კვლევა, 2014, იხ: <http://inclusion.ge/res/docs/2016072514094630189....pdf>

<sup>xli</sup> ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი N2.უ.

<sup>xlii</sup> ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი N3.2.თ

<sup>xliii</sup> ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.3.ბ

<sup>xliiii</sup> ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი N2, ჩ3

<sup>xlv</sup> ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი N26.1.ბ.

<sup>xlvi</sup> ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი N33.2.გ

<sup>xlvii</sup> ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი N7.1

<sup>xlviii</sup> ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში, ალტერნატიული ანგარიში, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, გვ. 10, იხ: <http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crp-d-education-cdi-geo-91.pdf>

<sup>xlix</sup> ზოგადი განათლების შესახებ კანონი, მუხლი N4.5 და 4.6.

<sup>l</sup> სახალხო დამცველის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისადმი წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში, ივნისი, 2017 წ., გვ. 51

<sup>li</sup> World Vision, საქართველოსთვის ჩატარებული საბაზისო კვლევა, 2014, გვ. 90. იხ.

<http://inclusion.ge/res/docs/2016072514094630189....pdf>

<sup>lii</sup> სახალხო დამცველის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისადმი წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში, ივნისი, 2017 წ., გვ. 50.

<sup>liii</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის ბრძანება №392 „სპეციალური საგანმანათლებლო სტატუსის მქონე მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოსათვის მიმართვის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

<sup>liv</sup> სახალხო დამცველის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისადმი წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში, ივნისი, 2017 წ., გვ. 50.

<sup>lv</sup> ზოგადი განათლების შესახებ კანონი, მუხლი N21<sup>2</sup>.1.ე.

<sup>lvi</sup> ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში, ალტერნატიული ანგარიში, სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი, 2016, გვ. 51,

<http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crpd-education-cdi-geo-91.pdf>

<sup>lviii</sup> სახალხო დამცველის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტისადმი წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში, ივნისი, 2017 წ.

<sup>lviii</sup> პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608>

<sup>lix</sup> პროფესიული განათლების შესახებ კანონი, მუხლი N31.1.ბ

<sup>lx</sup> სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში, გვ. 53

<sup>lxi</sup> ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში, ალტერნატიული ანგარიში, სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი, 2016, გვ. 49, იხ.

<http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crpd-education-cdi-geo-91.pdf>

<sup>lxii</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ“, 2015 წელი, გვ.757. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf>, ბოლოს ნანახია: 27.09.2017

<sup>lxiii</sup> „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაციის გაიდლაინი“; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2014 წელი, გვ. 101, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2014/08/18/uncrpd-is-imlementaciis-gaidlaini/>, ბოლოს ნანახია: 28.09.2017

<sup>lxiv</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ“, 2015 წელი, გვ.1085. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>lxv</sup> „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაციის გაიდლაინი“; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბილისი, 2014 წელი, გვ. 101-102, ხელმისაწვდომია აქ: <https://emc.org.ge/2014/08/18/uncrpd-is-imlementaciis-gaidlaini/>, ბოლოს ნანახია: 10.09.2016

<sup>lxvi</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 82.1.გ. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>lxvii</sup> შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 15 აგვისტოს N21-11/74149 კორესპოდენცია. „შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით 01.01.2012-11.08.2016წ. პერიოდში გადასახადისაგან გათავისუფლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად, გაცემულია 40 017 პირზე. მათგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი მითითებული აქვს 1 053 პირს“

<sup>lxviii</sup> საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 6.4. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>, ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>lxix</sup> საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია „მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4495.pdf>, ბოლოს ნანახია: 29.09.2017

<sup>lxx</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N338 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3350412>, ბოლოს ნანახია: 28.09.2017

<sup>lxxi</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 29 აგვისტოს N01/55298 კორესპოდენცია

<sup>lxxii</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N333 დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3345067> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>lxxiii</sup> საქართველოს მთავრობის 2015 წლის 31 აგვისტოს N451 დადგენილება „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2963861> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის N238 დადგენილება „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3297886> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>lxxiv</sup> საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის N137 დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“, დანართი N1.5.1

<sup>lxxv</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 29 ივლისის N01/58169 კორესპოდენცია, დანართი N2

<sup>lxxvi</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 02 ოქტომბრის N01/61805 კორესპოდენცია. გვ.3

<sup>lxxvii</sup> „სუბსიდირების კომპონენტით გათვალისწინებულია ორმოცამდე ბენეფიციარის დასაქმება“; მუხლი 2.6: „სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციართა სუბსიდირებას დამსაქმებლის მიერ წარდგენილ ვაკანსიაზე გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 460 (ოთხას სამოცი) ლარისა“. მუხლი 2.8: „სუბსიდირების ხანგრძლივობა განისაზღვრება არაუმეტეს 4 (ოთხი) კალენდარული თვისა“; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N333 დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“; დანართი N1.5.1. მუხლი 2.4. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3345067> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>lxxviii</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N333 დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3345067> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>lxxix</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 29 აგვისტოს N01/55298 კორესპოდენცია

<sup>lxxx</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 29 ივლისის N01/58169 კორესპოდენცია

<sup>lxxxi</sup> „2016 წელს მუნიციპალურ დონეზე განხორციელებული ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 91 შშმ პირმა, რომელთაგან სხვადასხვა ვადით შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 10 შშმ პირს“. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 29 აგვისტოს N01/55298 კორესპოდენცია

<sup>lxxxii</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 2 ოქტომბრის N01/61805 კორესპოდენცია. გვ.2

<sup>lxxxiii</sup> „2013 წლიდან საქართველოში მოქმედებს სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის ელექტრონული პორტალი, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - [www.worknet.gov.ge](http://www.worknet.gov.ge) ; სადაც რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში, ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამოქმედებიდან დღემდე, სისტემაში რეგისტრირებულია **44 724** სამუშაოს მაძიებელი, საიდანაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის **1 462**.“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 29 ივლისის N01/58169 კორესპოდენცია. გვ.2

<sup>lxxxiv</sup> „თვითდასაქმებულ, კერძო და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს“. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 8 სექტემბრის N01/68617 კორესპოდენცია

<sup>lxxxv</sup> „საჯარო სამსახურის ბიუროს 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, საჯარო სამსახურში დასაქმებული **53 109** პირიდან, მხოლოდ **112** არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“; საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ“, 2015 წელი, გვ.1087. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf> , ბოლოს ნანახია: 10.09.2017

<sup>lxxxvi</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2016 წელი, გვ.29

<sup>lxxxvii</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 29 ივლისის N01/58169 კორესპოდენცია

<sup>lxxxviii</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 2 ოქტომბრის N01/61805 კორესპოდენცია

<sup>lxxxix</sup> მაგ. 2016 წელს კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სასამართლოში გაასაჩივრა რესურსების არარსებობის საბაზით რუსთავის მერიის უარი ინსტიტუციაში ცხოვრები შშმ პირის სათანადო საცხოვრისით დაკმაყოფილების თაობაზე. სასამართლომ საქმეზე დანიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, იმის გამოსარკვევად, შეუძლია თუ არა პირს საკუთარ თავზე ზრუნვა, იმის მიუხედავად, რომ სათანადო საცხოვრისის უფლების წარმოშობის წინაპირობა არ არის დამხმარის საჭიროების არარსებობა.

<sup>xc</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება “საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2014-2020 წლებისთვის დამტკიცების შესახებ”, მუხლი N21, იხ. [http://gov.ge/files/428\\_51453\\_705840\\_Strategy-GEO\(1\).pdf](http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO(1).pdf)

<sup>xci</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, მუხლი N14.1.1.7., იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3350412>

<sup>xcii</sup> “უსახლკარობა - სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი”, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016, გვ. 93, იხ. <https://emc.org.ge/2016/10/27/emc-172/>

<sup>xciii</sup> Coalition for Independent Living, Realization of the Right to Housing of Persons with Disabilities in Georgia, report to the Special Rapporteur on the adequate housing, 2017, pp. 3-4, at:

<http://www.ohchr.org/Documents/Issues/Housing/Disabilities/CivilSociety/CoalitionforIndependentLiving-Georgia.pdf>

<sup>xciv</sup> “უსახლკარობა - სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი”, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016, გვ. 93, იხ. <https://emc.org.ge/2016/10/27/emc-172/>, გვ. 95, იემსი

<sup>xcv</sup> Coalition for Independent Living, Realization of the Right to Housing of Persons with Disabilities in Georgia, report to the Special Rapporteur on the adequate housing, 2017, at:

<http://www.ohchr.org/Documents/Issues/Housing/Disabilities/CivilSociety/CoalitionforIndependentLiving-Georgia.pdf>

<sup>xcvi</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში, გვ. 42, იხ. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3958.pdf>

<sup>xcvii</sup> Coalition for Independent Living, Realization of the Right to Housing of Persons with Disabilities in Georgia, report to the Special Rapporteur on the adequate housing, 2017, p. 4, at:

<http://www.ohchr.org/Documents/Issues/Housing/Disabilities/CivilSociety/CoalitionforIndependentLiving-Georgia.pdf>